სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/137

ქ. თბილისი 29 ივლისი 2025 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, ქალბატონ თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის №01-05-02/20 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის განმახორციელებელი მოწვეული პროფესორების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) და მასწავლებლების (უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი) შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში აკადემიური დატვირთვის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 416 საათით (კვირაში 16 საათი).
2. სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალის (აკადემიური, მოწვეული პროფესორები, უფროსი მასწავლებელი, მოწვეული სპეციალისტი/მასწავლებელი) საათობრივი დატვირთვის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 780 საათით (კვირაში 30 საათი).
3. წინამდებარე დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**